

ხათუნა ნიშნიანიძე

Khatuna Nishnianidze

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

Georgian Language and Literature at Tbilisi Theological Academy and Seminary

დავით გურამიშვილის „დავითიანი“: წიგნი როგორც გადარჩენა

Davit Guramishvili's Davitiani: The Book as a Survival

The manuscript of Davitiani, similar to the other medieval book collections, showcases the extensive and diverse creativity of the author, David Guramishvili. This diversity converges around a singular idea and theme, providing insight into the worldview of David Guramishvili. This article focuses on Davitiani's creation history and how the book's symbolic content can be understood. One of David Guramishvili's paradigms is the evangelical insatiable child. Often away from home, leading a nomadic lifestyle, Guramishvili gained a wealth of wisdom and experience, which he would then bring back home, book in hand. For Guramishvili, books were tools for preserving oneself, aiding their country, and drawing closer to God. The book is personified, filled with parental emotion and care, alleviating the feelings of loneliness and the fear of death. Thus, the poet sees own book as personified subject, his only legacy, his child, which he nurtured and fathered, and by which he hopes to be survived.

Guramishvili well understood that the wisdom within the book had the power to liberate his homeland, hence his dedicated efforts. Through this book, Guramishvili's tries rediscovering lost truths, wisdom, God, eternity, and his homeland. Having lived in both Russia and Ukraine, Guramishvili could not find a true sense of home in either place. He decided to send his book to Georgia, his motherland, where it would be read and understood.

It is well known that in many religions and cultures, storytelling and writing were expressions of life, combating darkness and death. In the Middle Ages, Christian thinking bestowed sacredness upon acts of creativity. Within

ecclesiastical writing traditions, stories were considered an immortalization of the author and protagonist, serving as a basis of salvation for those who read or listened.

The poetic texts included in the sole handwritten preserved copy of Davitiani are estimated to have been written at different times. According to K. Kekelidze, Guramishvili started writing poems very early, between 1730-1734. However, an unfortunate event in the relations between Georgia and Russia from 1734-1737, particularly the tragic end of the Darubandi expedition, fundamentally altered the lives of the King Vakhtang VI of Kartli and all the King's Men, including Davit Guramishvili. This was what drove him to take up poetry and writing, attempting to combat his despair with words.

The book that Guramishvili started writing took on the task of educating his nation. He aimed to enrich the readers' national, religious, ethical, aesthetic values and worldview. Guramishvili harbored an especially emotional attachment to his creation, considering the book as his child. The book, along with its literal context, also held a symbolic one. Mistrust and fear followed Guramishvili everywhere. Hostility towards Guramishvili was evident, having experienced the bitter feeling of having his manuscripts destroyed more than once.

Davitiani is a paradigmatic, symbolic representation of Georgia, Georgians, and Davit Guramishvili himself.

საკვანძო სიტყვები: დავით გურამიშვილი, დავითიანი, ხელნაწერი, შვილობილობა, წიგნი, სამშობლო

Key words: David Guramishvili, Davitiani, manuscript, filiation, book, homeland

დავით გურამიშვილის „დავითიანის“ ხელნაწერ კრებულში თავმოყრილი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი შემოქმედების ნიმუშები ერთიანი, მთლიანი კრებულის პერსპექტივიდანაც უნდა შევაფასოთ და, ამასთანავე, თითოეული მათგანის დამოუკიდებელი ღირებულებაც ვცნოთ. ხელნაწერი კრებული პოლიჟანრული და პოლისტილისტური, მულტილინგვური და მულტიკულტურული ხასიათისაა, შემცველია სხვადასხვა ენის, ეპოქის დაშრევებული თუ მოქმედი კულტურული კოდის, ესთეტიკური თუ მსოფლმხედველობრივი ინფორმაციისა. მაგრამ, შუა საუკუნეების კრებულთა მსგავსად, ეს მრავალფეროვნება ერთი იდეის, თემის ირგვლივ ერთიანდება და ემსახურება „დავითიანისა“ და, შესაბამისად, მისი შემოქმედი-ავტორის – დავით გურამიშვილის სათქმელის შეცნობას. როგორია „დავითიანის“ წიგნის შექმნის ისტორია, მისი დროსივრცული საზრისი და როგორაა გააზრებული „დავითიანში“ წიგნის სახეობრივ-სიმბოლური შინაარსი? – ამ საკითხთა კვლევას ისახავს მიზნად აღნიშნული სტატია.

დავით გურამიშვილის ერთ-ერთი პარადიგმაა სახარებისეული უძღვები შვილი. იგიც – გურამიშვილი – სახლიდან შორს, დიდ გზებზე თუ შარაგზებზე ხეტიალით სრულიყოფა და სიბრძნით, წიგნით ხელდამშვენებული „ბრუნდება შინ“. შემოქმედის დრო, რომელიც ესქატოლოგიური დროის შეგრძნებით იწყება, დიდი წინააღმდეგობით წარიმართება. გურამიშვილს უჭირდა ნაფიქრისთვის საბოლოო სახის მიცემა, ჰაგიოგრაფ ავტორთა რიდი და ჭოჭმანიც ეუფლებოდა თითქოს. მოუსვენარ, ბოხოქარ, ფიზიკურად შემართულ, ბრძოლებსა და ფარულ შეთქმულებებში, ინტრიგებსა თუ დევნილობაში გალყულ დღეებს მჭვრეტელობით, შემოქმედებითი ცხოვრებაც ცვლიდა. საბოლოოდ კი მაინც შემოქმედებით, წიგნით შეძლო ავტორმა მარტოობის, წარმავლობის, შურის, მტრობისა და სიკვდილის მძაფრ განცდათა ძლევა. მეომრული მსახურებიდან ერს თავისი შემოქმედებით სულიერ მხსნელად, „სიტყვით მკურნალად“ მოველინა და მისი სათქმელი „სიბრძნის დარგად“ ექცა შთამომავლობას. დავით გურამიშვილისთვის წიგნი გახდა პიროვნული გადარჩენის, ქვეყნის შეწევნისა და ღმერთთან თანაზიარობის გზა. პერსონიფიცირებულია წიგნი, მისდამი დამოკიდებულება შემოქმედის სამყაროსადმი დამოკიდებულების ტოლფასია, მამაშვილური მგრძნობელობით, განცდითა და მზრუნველობით აღვსილი – „დავჯექ და ლექსვა დავიწყე,

ვსთქვი თუ, ვიშვილებ ამასო“ (გურამიშვილი, 1955, გვ. 104, სტ. 555), „მე საწუთრომ ბერწოვანება მომახვედრა თავში კობლადა:/მე არ მომცა, არც ასული, შემქმნა სახლ-კარ დასამხოზლადა“ (გვ. 22, სტ. 9), „მე უშვილომ ეს ობოლი ძლივ გავზარდე დიდის ჭირით:/ რაც ვიცოდი საცოდნელი, მას ვასწავლე სიბრძნე-მცირით“ (გვ. 23, სტ. 10); „ამად ვიხობტბე, შევკრიბე ცრუის საწუთროს ყბედობა,/ მე მე არ დამრჩა ბედკრულსა, ეს არის ჩემი ბედობა...“ (გვ. 23, სტ. 12).

წიგნის შვილობილობის თემა „დავითიანში“ უშუალოდაა დაკავშირებული სამშობლოს თემასთან. დავით გურამიშვილმა იცის, რომ წიგნიერმა სიბრძნემ – ბიბლიამ – უნდა გადაარჩინოს ქვეყანა, თავადაც წიგნით შეეწევა მას. წიგნი, წიგნიერი ცოდნა სახე-სიმბოლო და წყაროა ღვთაებრივის, ირაციონალურის: „უკვდავებისა წყაროთი მოგართმევ სავსეს სურასა“ (სტ. 75), – ჰპირდება თავის მკითხველს გურამიშვილი.

ვ. პროპის „ზღაპრის მორფოლოგიაში“ (1984, გვ. 79) ზღაპარი, საზოგადოდ, ზოგადსაკაცობრიო, მითოსური სიბრძნისა და გამოცდილების მოდელია. ჯადოსნური ზღაპრის მე-8 ფუნქცია ასე განისაზღვრება: „ოჯახის ერთ-ერთ წევრს რაღაც აკლია, მას სურს ჰქონდეს რაღაც“ და იწყება გმირის დაბრკოლებებით აღსავსე მოგზაურობა „რაღაცის“ მოსაპოვებლად და იგი, გმირი, საჭიროებისამებრ, მოიგებს და მოიპოვებს სატრფოს, გნებავთ სამშობლოს, სიმდიდრეს, სიბრძნეს ან თავისუფლებას... „დავითიანის“ ავტორი-გმირი მომგებელია წიგნის, მისი რაინდული მოგზაურობაცა და ყარიბობაც დროსა და სივრცეში სწორედ წიგნის მოგებით სრულდება და წიგნითვე გრძელდება. წიგნი ხდება დავით გურამიშვილისთვის მარადიულობის, სიბრძნის, ჭემმარიტების, დაკარგული ღმერთისა და სამშობლოს კვლავ-მოძიების გზა. წიგნთან ერთად გურამიშვილმაც დაიმკვიდრა თავისი წილი ქვეყანა, თავისი წილი ქართლი. სხვათა ქვეყანაში ხანგრძლივი ცხოვრების მიუხედავად („ხორცით აქ ვლპები“, გვ. 270, სტ. 3), ვერც უკრაინა და ვერც რუსეთი – მისი მწირობისა და ყარიბობის ადგილები – ვერ გახდება გურამიშვილის სამშობლო. სამშობლო ეგულების იქ, სადაც მისი წიგნი, შესაბამისად, მისი თესლი და მემკვიდრეობა ინაყოფიერებს, სადაც ორ მონასტერს – ზედაზენსა და შიო მღვიმეს – შორის ჰქონდა „ალაგი, სასაფლაო და ძვალთ შასალაგი“ (გვ. 270, სტ.

2). წიგნში „საუბრები ბიბლიაზე“ სამშობლოსა და სამარხის თემა ასეა გააზრებული:

„სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ მაშინ, როცა კვდება. [აბრაამისთვის, ხ. ნ.] სამშობლო დაიწყო ქანაანის ქვეყნის იმ უმცირესი მონაკვეთიდან, სადაც პირველად დაიფლა ადამიანი – წინაპარი. ეს იყო თესლი სამშობლოსი. ბიბლიური წარმოდგენით, რაც აბრაამის ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში აისახა, სამშობლოს განცდა საფლავით იწყება. იმ ადგილიდან, რომელიც აბრაამმა ადგილობრივ მკვიდრთაგან იყიდა თავისი ცოლის – სარას დასამარხავად, იწყება ქანაანის გამშობლიურება“ (კიკნაძე, 1989, გვ. 28).

აღსანიშნავია, რომ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის გმირიც, ვისთვისაც ეს ქვეყანა მსხემობისა და მდგმურობის ადგილია, საგანგებოდ განისაზღვრავს, გამოარჩევს განსასვენებელს, სამარხს (მაგ: წმ. მირიან მეფე, წმ. შუშანიკი, წმ. ევსტათი, წმ. გრიგოლ ხანძთელი...), რომელიც იმთავითვე საკრალურია ან ამის შემდეგ საკრალიზდება. გურამიშვილისთვის, როგორც ბიბლიურად მოაზროვნე კაცისთვის, იდენტურია სამშობლოსა და სამარხის თემა, თუ გავითვალისწინებთ გურამიშვილის აზრს წიგნის შვილობილობის შესახებ, სრულიად ნათელია, რომ მემკვიდრეობის, შთამომავლობის ადგილად სამშობლო – ქართლი – უჩანს. ქართლია სამკვიდრო წიგნის, მეტაფორულად იმისა – „დავით ვინც ძედ მოიგერა“ (გვ. 105, სტ. 565). გერონტი ქიქოძე დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობისა და პოეტური განსახოვნების პრინციპთა შესახებ წერდა: „ემპირიული საქართველოს უკან სხვა უფრო რეალურ საქართველოს ჰკრეტს, თავის ნამდვილ სამშობლოს ესაუბრება...“ (1985: 284). ეს „რეალური საქართველო“ შემოქმედებითად მოდელირებული, მისი ფიქრისა და ოცნების ქვეყანაა, წმინდა, საკრალური, „დავითიანის“, დავით გურამიშვილისა და მისი მკითხველის სამკვიდრო ქვეყანა, პირველხატს მიმსგავსებული და ასურელ მამათა დვაწლით გაცისკროვნებული.

ცნობილია, რომ ბევრ კულტურასა და რელიგიაში თხრობა-წერა სიცოცხლის გამოხატულებაა, შესაძლებლობაა სიკვდილისა და წარმავლობის დამთრგუნველ აზრთა ძლევისა. ეპიკურე ამბობდა:

„ბედნიერებისთვის მთავარი დამაბრკოლებელი არის შიში, პირველ რიგში, სიკვდილის შიში“ (გიგინეიშვილი, 2021, გვ. 182), „ფილოსოფია არის სიკვდილზე ფილოსოფიური ფიქრი, ანუ შიშის დაძლევა“ (გიგინეიშვილი, 2021, გვ. 184). ეპიკურეს მოძღვრებას რომ კარგად იცნობს გურამიშვილი და მისი სახელის ხსენება ნაწარმოებში არ არის ოდენ ენობრივი ჩვევა, ამას ტექსტიც ადასტურებს: „ფილოსოფოსი ეპიკურ გვაუწყებს, ამას გვპირდება:/აგებულებით მყოფელი აროდეს გაღარიბდება“ (გვ. 36, სტ.68). სიკვდილის დამთრგუნველი შიშს გურამიშვილიც შემოქმედებით – ფიქრით, განსჯით, წერითა და ნარაგიით ძლევს და მთელს კულტურულ გამოცდილებას იშველიებს – ანტიკურსა თუ ქრისტიანულს – სიკვდილის შიშთან გასამკლავებლად. თხრობა/ნარაცია ხდება გურამიშვილისთვის საკუთარი იდენტობის დასაბუთების, თვითშემეცნებისა და ტრავმის ძლევის გზა. ტრავმა, ტკივილი, გურამიშვილისეული ჭირი, „ემოციური კომპლექსები“ (ნორაკიძე, 1980, გვ. 110) პოეზიით, „სათქმელით“ უნდა დაიძლიოს – „უპასუხო კითხვას: ვინ ხარ – ნიშნავს [...] მოჰყვე შენს ისტორიას“ (რიკოერი დამოწმებულია კილანავა, 2013, გვ. 14). თხრობა-წერისა და სიკვდილ-სიცოცხლის მოტივთა ურთიერთმიმართების საკითხს სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული ლიტერატურული ტრადიცია ჰქონდა. მაგალითად,

„ბერძნული ეპოსი უკვდავყოფდა გმირს და ეს მისი უზენაესი მიზანი იყო – გმირი ახალგაზრდა უნდა მომკვდარიყო, რომ მისი ცხოვრება ამ აქტით გაბრწყინებულიყო, ამაღლებულიყო და უკვდავებას ზიარებოდა. ასე ხდებოდა ძველ ეპოსში – გმირის დაღუპვა თხრობით გამოისყიდებოდა. აღმოსავლურ ტრადიციაში – „ათას ერთი ღამე“ – თხრობა სიცოცხლის წრის გარეთ სიკვდილის შენარჩუნების, მაგრამ მისი გადავადების მარადიული მცდელობაა“ (ტაბუცაძე, 2017, გვ. 83).

შუა საუკუნეების ქრისტიანული აზროვნება საკრალურ შინაარსს სძენდა შემოქმედებით აქტს, ღვთისმეტყველებაში არსებობდა თემა – სულიერი მადლის ვლენა, მწერლობა – თხრობა, გამოთქმა, წერის ხელოვნება, ამაღლებულთან, იდუმალთან მიახლებისა და ხსნის გზა იყო. საეკლესიო მწერლობის ტრადიცია წერას, ნარაციას ავტორისა

და წმინდანის უკვდავყოფისა და ხსნის საფუძვლად მიიჩნევა. იოანე საბანისძისთვის შემოქმედება, ანუ აბოს მოწამეობის აღწერა იყო: „სარგებელ და ნაყოფ სულისა და სიქადულ და სიხარულ ხორცთა... საუკუნოდ მიმართ და სოფელსა ამასცა“ (2005, გვ. 1048). გურამიშვილისთვისაც წიგნია პიროვნული ხსნის გზა – „ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი, მიბრძანეთ ცოდვილს შენდობა“ (გვ. 23, სტ. 12), „აგების ღმერთმან დამიხსნას ჯოჯოხეთისა მწვირითა“ (გვ. 23, სტ. 13), თუ არ შევკრებ და არ უძღვნი ყრმათ ია-ვარდის კონებსა,/ ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მომიგონებსა“.

„დავითიანის“ საუცხოოდ შემონახულ ავტოგრაფულ ხელნაწერში შესული ლექსები სხვადასხვა დროსაა შეთხზული და გადაწერილი. კ. კეკელიძის აზრით, გურამიშვილს ლექსების წერა ძალიან ადრე, 1730-1734 წლებში დაუწყია (1955, გვ. 302). მაგრამ ქართულ-რუსული ურთიერთობის ერთ ტრაგიკულ ფაქტს – ვგულისხმობთ 1734-1737 წლებში დარუბანდის ექსპედიციის კრახით დასრულებას – სრულად შეუცვლია მეფის, ქვეყნისა და დავით გურამიშვილის ცხოვრების მდინარე (იხ. თავი „ხელმწიფეს არზა მიაართვეს: ჩვენ თქვენი ყმობა გვსურისა“). ვფიქრობთ, სწორედ ცხოვრების ამ ტრაგიკულ ეტაპს უკავშირდება გურამიშვილის გადაწყვეტილება – მწერლობას მიჰყოს ხელი და პოეზიით, სიტყვით გაუმკლავდეს თავის დიდ განსაცდელს – უიმედობის, მარტოობის, სამშობლოსა და ახლობელთა მონატრების მტანჯველ გრძნობას. მანამდე, ვახტანგის სამეფო კარზე გამართულ პოეტურ შეჯიბრებში, სადაც იყო „ზმა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა“ (გვ. 94, სტ. 476), გურამიშვილის თქმულ ლექსებს („ჯავახიშვილს გამალექსეს“ თუ „მონასიბათ თქმულნი“), ვფიქრობთ, რუსთველის „მესამე ლექსისთვის“ დამახასიათებელი სილაღე-სიმსუბუქისა და უდარდელობის საბურველი უფრო მოსავს. ზემოთ დასახელებულმა იმ კონკრეტულმა ისტორიულმა ფაქტმა კი დიდად განსაზღვრა გურამიშვილის არჩევანი, რომ წიგნის, პოეტური რეცეფციების გზით დაედასტურებინა თავისი სათქმელი – „ახლა ვსთქვა ჩემი სათქმელი“, თავისი იდენტობა, პირადი და საქვეყნო ჭირი და განსაცდელი. მენტალური და ფიზიკური მტრობა-შევიწროების დაუსრულებელ ისტორიებს ახლა პოეზიით, შემოქმედებითაც უნდა გამკლავებოდა: „მან (წუთი-სოფელმა ხ.ნ.) დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო,/დავჯექ

და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი თუ, ვიშვილებ ამასო“ (გვ. 104, სტ. 555). მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, სახელმწიფოებრივი ცნობიერება სხვაგვარი არჩევანის უფლებას არც აძლევდა გურამიშვილს – განვლილი ცხოვრებისეული გამოცდილება და განჭვრეტილი მომავალი „სათქმელის“, საკუთარი სათქმელის მსმენელამდე მიტანის აუცილებლობას ჰკარნახობდა. ამ გადაწყვეტილებით გურამიშვილი ინარჩუნებს და აგრძელებს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მაგისტრალურ ხაზს, ამასთანავე, საფუძვლიან ნიადაგს ქმნის მთელი შემდგომი ქართული ნაციონალური დისკურსისთვის. აკაკი ბაქრაძე წერდა: „ჩვენს ერს ხშირად და დიდხანს უხდებოდა ცხოვრება ნაციონალური ხელისუფლების თვინიერ, დამპყრობლის უღელქვეშ. ასეთ პირობებში ორად ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას – ქრისტიანული რელიგია და მწერლობა. როცა რუსეთმა ქართული ეკლესია გააუქმა, ჩვენი ერის ქომავის როლი მარტო მწერლობას დაევალა“ (1990, გვ. 3). წიგნი, რომელსაც ქმნის გურამიშვილი, იტვირთავს ერის განათლების საღვთო საქმეს ეროვნული, სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველობრივი, ეთიკური და ესთეტიკური სრულყოფის მიზნით.

საკუთარი შემოქმედებისადმი მეტად ემოციურ და ვნებიან დამოკიდებულებას იჩენდა გურამიშვილი. აღსანიშნავია, რომ მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებაშიც, რომელიც, ვფიქრობთ, ზედმიწევნითად გამოხატავს დავით გურამიშვილის შემოქმედების პათოსს, ავტორს წიგნი მკერდზე აქვს მირქმული (შუა საუკუნეების მხატვრობაში ასე გამოისახებოდნენ – მკერდზე მირქმული „შემოქმედებით“ – ეკლესიის ქტიტორები თუ ხელნაწერთა გადამწერნი) და არა გადაშლილი, როგორც დავით გურამიშვილის ფერწერული თუ სკულპტურული ნიმუშების უმეტეს შემთხვევაში გვხვდება. შვილობილობის თემა, რომელიც „დავითიანის“ ერთ-ერთ მთავარ თემათაგანაა, თბილი, მშობლური, რეალურად საგრძნობი მამაშვილური სითბოსა და მზრუნველობის, განცდა-ემოციის გამომხატველია – „მე უშვილომ ეს ობოლი მძლივ გავზარდე დიდის ჭირით:/ რაც ვიცოდი საცოდნელი, მას ვასწავლე სიბრძნე მცირით“ (გვ. 23, სტ. 10). პოეტის პირადი მიმოწერაცა და პოემაც ადასტურებს, რომ გაუცხოება, უნდობლობა და შიში ყველგან თან სდევდა გურამიშვილს. ჩანს, რომ მის შემოქმედებასაც მტრობდნენ, არ ინდობდნენ. ხელნაწერების განადგუ-

რების სიმწარეც არაერთგზის უგემია პოეტს: „*მსხვილს შვილებს ყელი დამიჭრა, წვრილები ფეხით მისრისა*“ (გვ. 107, სტ. 580); „*ჩემის ხელით მაგის მეტი ვერ შევიძლე და სხვას ვერავის ვენდევ [ა]მის მოუპარაობის მიზეზითა*“ (გურამიშვილი, 1955, გვ. 284) – სწერს მირიან ბატონიშვილს. არც შიში და სათხოვარი – „*ეს წიგნი წმინდად სახმარი არავინ გამიჩირქოსა!*“ (გვ. 75, სტ. 350) – უნდა ყოფილიყო უსაფუძვლო. აქაც ძველ მწიგნობართა თადარიგი და სიფრთხილე გვახსენებს თავს – გურამიშვილიც მკითხველ-მსმენელისგან საღვთისმეტყველო-თეოლოგიურ საკითხთა სწორად აღქმა-გააზრებასა და ნათქვამის შეუცვლელად დატოვებას ითხოვს.

„დავითიანის“ ხელნაწერმა წიგნმა შემოგვინახა ავტორის ლამის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი ცხოვრების ისტორია: „*ამ ლექსთ თავი მოუყარე, საცა მეტქვა თვითო ობლად*“. „დავითიანის“ საუცხოოდ შემონახულ ავტოგრაფულ ხელნაწერში შესული ლექსები სხვადასხვა დროსაა შეთხზული და გადაწერილი, შესაბამისად, სხვადასხვა დროსივრცული პლასტის გამომხატველია. განსხვავებულია მელანიცა და კალიგრაფიაც. „დავითიანის“ სხვადასხვა ლექსის ტაეპთა მსგავსებაც, რევაზ ბარამიძის აზრით, იმის დასტურია: რომ „*პოეტი ზეპირად იგონებს და იწერს ახალგაზრდობაში თუ ცხოვრების გრძელ მანძილზე სხვადასხვა დროს შექმნილ ლექსებს*“ (ბარამიძე, 1990, გვ. 175), მიუხედავად იმისა, რომ მისი ლექსები ხშირად „*ერთი ამოსუნთქვით დაწერილს*“ (გვახარია, 2001, გვ. 211) მოგვაგონებს. კ. კეკელიძის აზრით, გურამიშვილს ლექსების წერა ძალიან ადრე, 1730-1734 წლებში დაუწყია (1955, გვ. 302). „*დავითიანი თავის არსებით ნაწილში ჩამოყალიბებული ყოფილა 1774 წელს*“ (1955, გვ. 302): „*ვსთქვი წელსა ათას-შვიდას-სამოც-და-თოთხმეტსა*“ (გვ. 277, სტ. 14). ავტოგრაფული კრებულის ძირითადი ნაწილი 1782-1786 წლებშია გადაწერილი, 1787 წელს კი, გარდაცვალებამდე 5 წლით ადრე, ავტორს საბოლოოდ გაუსრულებია ხელნაწერზე მუშაობა. კ. კეკელიძე დაასკვნის: „*ავტოგრაფული ნუსხა შედგეია დავით გურამიშვილის ბეჯითი მუშაობისა „დავითიანის“ ტექსტზე*“ (1955, გვ. 303). „დავითიანისთვის“ საბოლოო სახის მიცემას თითქოს არც ჩქარობდა ავტორი, მაგრამ, როცა დადგა ჟამი „*მისი ცახცახისა და შემოდგომის*“ სიკვდილზე ფიქრი ისე მოსძალეებია, რომ სურათიც კი დაუხატავს – ჩონჩხი ცელით ხელში საწოლში მყოფ ბავშვს ადგას თავზე და ემუქ-

რება – ეს სურათი მოგვიანებით ხელნაწერშიც ჩაუწებებია პოემის „კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და ბჭობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“ წინ. გურამიშვილისთვის შემოქმედის დრო ესქატოლოგიური დროის მოლოდინით იწყება და განსაკუთრებულად აჩქარებს შემოქმედების დროის ჩარხს: „ამად ვისწრაფი სათქმელად და არა მცალის საყენად“, „ცოცხალი განცდა, რომელიც „დავითიანის“ ლირიკულ ნაწილს მთლიანად მსჭვალავს, ეს არის სიკვდილის მოლოდინი და ამ უკანასკნელით გამოწვეული სინანული და ღვთისკენ სწრაფვა“ (ნათაძე, 1973, გვ. 28). სიკვდილის მოახლოების შიში წისკვილზე მუშაობის ჟამსაც აკვიატებია ავტორს. ჩანს, წუთისოფლის წარმავლობის შეგრძნებამ, სიკვდილზე ფიქრმა, აღსასრულის მოლოდინმა ერთიორად გაუმძაფრა გურამიშვილს სიცოცხლისა და შემოქმედების წყურვილი. გურამიშვილმა იმ ჟამის მოახლოებაც იგრძნო, მარტოშთენილს, უძლურებასა და სიდუხჭირეში მყოფს, მარჯვენა ხელში ძალაგამოცლილს, იპოქონდრიით დაავადებულს (იპოქონდრია ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, როცა მას სჯერა, რომ რაიმე სახის დაავადება სჭირს) **შვილივით ნაზარდი წიგნი** შთამომავლობისთვის რომ უნდა გადაეცა. უკვე ღრმად მოხუცებული გაჭიანურებული ხელნაწერის გადანუსხვას დიდი ჭირით ასრულებს: „ცალი თვალით სულ ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედავდი“ (1955, გვ. 284). მირიან ბატონიშვილისადმი მიწერილ არზაში უფლისწულისთვის შემეცნებითი და დიდაქტიკური ხასიათის წიგნის ბოძებას სრულიად შეუსაბამო არგუმენტით ახსნის ავტორი: „გავიგონე დიდროანს ღამებში შესაქცევლად ქართლურის წიგნების დამჭირნეობა, და ამად კადნიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვამი წიგნი“ (1955, გვ. 288). ჩანს, რომ ჩქარობს წიგნის საქართველოში გამოგზავნას, იქნებ ეფიქრება, როგორ შეხვდება და მიიღებს „დავითიანს“ აღმოსავლური მოტივების მოყვარული, სააშიკო და სალალობო ლიტერატურას დაწაფებული მისი თანამედროვე და ხერხს მიმართა („მოსახმარის მოხმარების“ უნარს სხვებშიც დიდად აფასებდა), გაასაიდუმლოვა სათქმელი, სასწავლო-აღმზრდელობითი წიგნი „შესაქცევლად“ მონათლა რუსთველის „ესე ამბავი სპარსულის“ მსგავსად. „დავითიანის“ წიგნის შექმნის ისტორიის, მისი დროსივრცული საზრისისა და სახეობრივ-სიმბოლური შინაარსის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დავით გურამიშვილი ერთ სააზროვნო

კონტექსტში მოაქცევს ქართლს, ქართველს, „დავითიანსა“ და ავტორს – დავით გურამიშვილს. დავითისთვის წიგნმა იტვირთა „მარადიული საგზლის“ ფუნქცია, დაიტია მთელი მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, სულიერიცა და ფიზიკურიც, ამიტომაც აგრერიგად ესათუება და ეიმედება წიგნი, იგია მისი მომავალი, მისი სავედრე-ბელი და სალხინებელი. წიგნი გახდა დავით გურამიშვილისა და ქვეყნის ხსნის, გადარჩენის საფუძველი, ისტორიის მდინარების, სიკვდილის ძღვევისა და სიცოცხლის მარადგანახლებად პროცესში მონაწილეობის უალტერნატივო გზა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარამიძე, რ. (1990). ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან. თბილისი: „მეცნიერება“.
- ბაქრაძე, ვ. (1990). მწერლობის მოთვინიერება. თბილისი: რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“.
- გვახარია, ა. (2001). ფიქრები დავით გურამიშვილზე ანუ მოგზაურობა „დავითიანის“ ფურცლებზე. წიგნში: ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, II. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- გიგინეიშვილი, ლ. (2021). საუბრები ანტიკურ ფილოსოფიაზე. თბილისი: აზროვნების აკადემია.
- გურამიშვილი, დ. (1955). დავითიანი. თხზულებათა სრული კრებული. თბილისი: „სახელგამი“.
- კიკნაძე, ზ. (1989). საუბრები ბიბლიაზე. თბილისი: „მეცნიერება“.
- კილანავა, ც. (2013). ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ნათაძე, ნ. (1973). „დავითიანის“ დიდი საიდუმლო. ლიტერატურული წერილები. თბილისი: „მერანი“.
- ნორაკიძე, ვ. (1980). დავით გურამიშვილი: ფსიქოლოგიური პორტრეტი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

- პროპი, ვ. (1984). ზღაპრის მორფოლოგია. თბილისი: „მეცნიერება“.
- საბანისძე, ი. (2005). წმ. აბო თბილელის წამება. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. თბილისი: „ახალი ივერონი“.
- ტაბუცაძე, ს. (2017). ავტორის პრობლემა XX საუკუნის ლიტერატურულ – თეორიულ კონცეფციებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი.
- ქიქოძე, გ. (1985). წერილები, ესეები, ნარკვევები. თბილისი: „მერანი“.

References:

- Baramidze, R. (1990). Nark'vevebi kartuli mts'erlobis ist'oriidan. [Essays from the history of Georgian writing]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Bakradze, K'. (1990). Mts'erlobis motviniereba. [The Taming of Literature]. Tbilisi: rustavelis sazogadoebis gamomtsemloba „Sarangi“.
- Gigineishvili, L. (2021). Saubrebi ant'ik'ur pilosopiaze. [Conversations on Ancient Philosophy]. Tbilisi: Azrovnebis ak'ademia.
- Guramishvili, D. (1955). Davitiani. [Davitiani]. Tkhzulebata sruli k'rebuli. Tbilisi: „Sakhelgami“.
- Gvakharia, A. (2001). Pikrebi Davit Guramishvilze anu mogzauroba „Davitianis“ purtslebze. Ts'ignshi: nark'vevebi kartul-sp'arsuli lit'erat'uruli urtiertobis ist'oriidan, II. [Thoughts about Davit Guramishvili, or a journey through the pages of “Davitiani”]. Tbilisi: TSU Gamomtsemloba.
- K'ik'nadze, Z. (1989). Saubrebi bibliaze. [Conversations about the Bible]. Tbilisi: „Metsniereba“.
- Kikodze, G. (1985). Ts'erilebi, eseebi, nark'vevebi. [Letters, essays]. Tbilisi: „merani“.
- K'ilanava, Ts. (2013). Kartuli natsionaluri disk'ursis pormireba: sakartvelosa da rusetis imp'eriis mark'irebis modelebi da kartuli natsionaluri tvitident'ipik'atsia me-18 sauk'unis dasarulisა da me-19 sauk'unis kartul lit'erat'urashi. [Shaping Georgian National Discourse: Marking Models of Georgian and Russian Empire and Georgian National Self-Identification in Late 18th and 19th Century Georgian Literature]. Tbilisi: Ilias sakhelmts'ipo universit'et'i.
- Natadze, N. (1973). „Davitianis“ didi saidumlo. lit'erat'uruli ts'erilebi. [The Great Secret of Davitiani “. Essays] Tbilisi: „Merani“.

- Norak'idze, V. (1980). Davit Guramishvili: psikologiuri p'ort'ret'i. [Davit Guramishvili: psychological portrait]. Tbilisi: „Sabch'ota sakartvelo”.
- P'rop'i, V. (1984). Zghap'ris morpologia. [The morphology of the Fairy Tale]. Tbilisi: „metsniereba“.
- Sabanisdze, I. (2005). Ts'm. Abo Tbilelis ts'ameba. dzveli kartuli saek'lesio lit'erat'ura. [The Martyrdom of St. Abo Tbileli]. Tbilisi: „Akhali iveroni“.
- T'abutsadze, S. (2017). Avt'oris p'roblema XX sauk'unis lit'erat'urul – teoriul k'ontseptsiebshi. Ivane Javakhishvilis sakhelobis Tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is pilologiis dokt'oris ak'ademiuri khariskhis mosap'oveblad ts'armodgenili, disert'atsia. [Author's problem in 20th century literary-theoretical concepts]. Tbilisi.